

2019 წლისთვის, ქალაქ რუსთავს გააჩნია შემდეგი საბიუჯეტო პრიორიტეტები:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება
2. განათლება
3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
4. გარემოს დაცვა
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშული პრიორიტეტების შესრულების შესახებ დეტალურ და თვალსაჩინო ინფორმაციას.

1. მერიის შიდა სტრუქტურის და სერვისების განვითარება

მერიის ადმინისტრაციის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ მომზადდა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2019 წლის გეგმა“, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 33 040 ლარს. კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 87-მა საჯარო მოხელემ.

რუსთავის მერიაში ამოქმედდა დოკუმენტ ბრუნვის დაცული სისტემა.

მუნიციპალური მართვის სისტემა MMS-ში გაწერილ მომსახურებებზე მომზადებული პასუხების შესაბამისად, მოქალაქეებს ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ამ ეტაპზე, მუნიციპალური სერვისები ხელმისაწვდომია დისტანციურად პორტალ www.my.gov.ge -ს საშუალებით.


მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, კონკრეტული მუნიციპალური სერვისის მისაღებად, მიმართონ მერის წარმომადგენელს, ადმინისტრაციულ ერთეულში საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე.

მოქალაქეთათვის სერვისების უკეთ მიწოდების მიზნით, ჭყონდიდელის დასახლებაში გაიხსნა თანამედროვედ აღჭურვილი სერვის ცენტრი.


მუნიციპალურ სერვისცენტრში, შესაძლებელია როგორც მუნიციპალური სერვისების მიღება, ისე მერის წარმომადგენელთან, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრა, სახელმწიფო სერვისებზე დისტანციური წვდომა და საბანკო სერვისის მიღებაც.

2. ქალაქის ბიუჯეტი

ქალაქ რუსთავის მთლიანი ბიუჯეტი 2019 წლისთვის 25 119 829 ლარით გაიზარდა და შეადგინა 64 434 483 ლარი



რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 44 მილიონ 960 ათას ლარი, ხოლო 2019 წლისთვის გეგმამ 54 მილიონ 953 ათასი ლარი შეადგინა



2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულია 150 ტენდერი, საიდანაც




4 - გამოცხადებულია



7 - მიმდინარეობს შერჩევა/შეფასება



3 - მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება



104- ხელშეკრულება დადებულია



15 - დასრულებულია უარყოფითი შედეგით



21 - არ შედგა

3. ადგილობრივი მოსაკრებლები


2019 წლიდან ამოქმედდა ბილინგის სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს „ლიბერთი ბანკის“ ყველა საგადასახდელი არხში და „თიბისი ფის“ სწრაფი გადახდის აპარატებში. ამ სისტემის საშუალებით მარტივად ხდება როგორც მოსაკრებლის ადმინისტრირება, ასევე მისი გადახდაც.

პროგრამის ფუნქცია მხოლოდ მოსაკრებლის გადახდის კომფორტულობა არაა, მისი მეშვეობით ხორციელდება ადმინისტრირებაც (შეტყობინების გაგზავნა დავალიანების მქონე აბონენტებთან, აბონენტების რეგისტრაცია და ცვლილებები მოსაკრებლის დაანგარიშების პარამეტრებზე).

2019 წელს მოსაკრებლის შემოსულობები მკვეთრად გაზარდილი, ამის მიზეზია დაინტერესება სამშენებლო კომპანიების მხრიდან. მიმდინარე წელს 4-მა კომპანია შეიძინა კოეფიციენტი. მთლიანობაში მოსაკრებლის თანხამ შეადგინა 206 782,96 ლარი.

4. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კვლავაც რჩება ქალაქის ხელმძღვანელობის მთავარ პრიორიტეტად. 2019 წელს, რუსთავის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია **21888302** ლარი



- საერთო ჯამში 2019 წელს, რუსთავში მოხდება 153 998 კვ³ საგზაო საფარის რეაბილიტაცია
- 11 რეკრეაციული სივრცის კეთილმოწყობა
- 24 სპორტული სტადიონის მოწყობა
- 29 შენობის რეაბილიტაცია
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 28 სკოლასა და 11 ბაღში

სისტემატიურად ხდება ქალაქის სანიაღვრე ქსელის მოწყობის და რეაბილიტაციის სამუშაოები. 2019 წელს ამ მიზნით სამუშაოები ჩატარდა 60 მდე ლოკაციაზე. საქმიანობების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 128225.8 ლარი

რუსთავის მოსახლეობის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა 7661 მეტრზე.

ქალაქის დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას უხვი ნალექის დროს ილღუჯის მთიდან მოვარდნილი ღვარცოფი წარმოადგენდა, რომელმაც გასულ წლებში არაერთხელ დააზიანა ქალაქი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ჩაატარა აღნიშნული პრობლემის შესწავლითი სამუშაოები და მის გადასაჭრელად დახმარებისთვის მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. შედეგად, რუსთავში დაიწყო პროექტი „ქალაქ რუსთავის მიმდებარედ არსებული იაღლუჯის მთის ფერდობებზე ფორმირებული ღვარცოფული ნაკადებისაგან ქალაქის ქუჩებისა და საცხოვრებელი მიკრორაიონების დაცვის მიზნით, ქალაქ რუსთავის ღვარცოფული ნაკადებისაგან დაცვის ღონისძიებები“. პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ რუსთავს სრულად მოეხსნება ზემოთხსენებული საფრთხე. სამუშაოები დასრულდება 2020 წლის ოქტომბერში და მისი ღირებულებაა **12 466 145** ლარი

5. უსაფრთხო და კომფორტული გარემო

ქალაქში უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. ამ მიზნით ინტენსიურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოების წარმოება. 2019 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რუსთავში დაირგო 1880 ხე, ხოლო მოსახლეობას, საჯარო სკოლებსა და ბაღებს დასარგავად გადაეცა - 3 075 ხე. ასევე ქალაქში დაირგო 19600 ძირი ყვავილი. აღნიშნული მცენარეების დიდი ნაწილი მოყვანილია ადგილობრივი სანერგე მეურნეობაში. ქალაქში რამდენიმე ადგილის გაკეთდა მულჩირება. ქალაქ რუსთავში, ისევე როგორც მთელ საქართველოში გავრცელდა ფიჭვის ხეების პათოგენური სოკოვანი ორგანიზმებით დაავადება, რასაც მეორე წელია ინტენსიურად და წარმატებით ებრძვის ადგილობრივი თვითმმართველობა.

ქალაქში ფუნქციონირებს უპატრონო ცხოველების ოპერირების განყოფილება, რომელმაც 2019 წლის 9 თვის განმავლობაში მიიღო და ოპერირება ჩაუტარა 615 მიუსაფარ ძაღლს.

იმ ფაქტმა, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა სხვადასხვა საწარმოების მშენებლობა -გაფართოებაზე ნებართვების გაცემა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე, ქალაქი რუსთავი დააყენა საკმაოდ მძიმე ეკოლოგიური პრობლემების წინაშე. ეს კი სერიოზული რისკია ქალაქის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობისათვის. ქალაქის თვითმმართველობა მიმართავს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს ამ პრობლემებთან საბრძოლველად და ეძებს მათი გადაჭრის ახალ გზებს. ამ მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებთან. 23 ოქტომბერს ჩატარდა შეხვედრა „DBA Group“- ის ექსპერტსა და „ჯი-ემ მენეჯმენტის“ წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც მონაწილეებმა იმსჯელეს თუ რომელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემები უნდა იქნას გამოყენებული რუსთავში, იმისათვის, რომ კონკრეტულ ლოკაციებზე, უშუალოდ საწარმოებთან გაიზომოს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა-ჩაშვება. შეხვედრაზე მოხდა სხვადასხვა სენსორული მოწყობილობების პრეზენტაცია, რომლებიც 24 საათის მანძილზე შემლებენ აწარმოონ ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი. აღნიშნულ თემაზე იგეგმება რეკომენდაციის მიწოდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის რათა 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული ხელსაწყოების შეძენა.

მეორე პრობლემა, რასაც რუსთაველები რამდენიმე თვეა უჩივიან, არის უსიამოვნო სუნის, რომელიც ხშირად აწუხებს ახალი რუსთავის მოსახლეობას. ა.ა.ი.პ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, აღნიშნული სუნი, რუსთავის შემოსასვლელში არსებული სოკოს სათბურიდან -„თეთრი ქუდიდან“ ვრცელდება. საკითხი ფაქტიურად უკვე მოგვარებულია, საწარმომ პირველ ეტაპზე შეიძინა 65 ათასი ევროს ღირებულების ახალი დანადგარი, იგეგმება კიდევ ორი სხვა დანადგარის შეძენა რომელიც ე.წ. კომპოსტირების პროცესში წარმოქმნილ სუნს გაანეიტრალებს.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა სისტემატიური სადებინფექციო სამუშაოები. **ლეიშმანიოზის პროფილაქტიკის მიზნით:** დეზინფექცია ჩატარდა 4 კერაზე - ფართობი 1600 მ². **სხვა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით:** დეზინფექცია ჩატარდა - 900 მ²-ზე. **მღრღნელებით გავრცელებული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით:** დერატიზაცია ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებისა და სადარბაზოების -166 210მ²-ზე

რუსთავის მოსახლეობის სწრაფი უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველყოფისთვის, მიმდინარეობს სხვადასხვა პარტნიორებისა და რესურსების მოძიება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მიმდინარე

წლის 22 ოქტომბერს, გამოაცხადა ტენდერი 175 ერთეული ავტობუსის შესაძენად აქედან რუსთავში, 40 ავტობუსის შემოყვანა იგეგმება.

არსებობს პრობლემები თბილისის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანის საკითხში. რუსთავიდან თბილისში მოსიარულე ადამიანების ნაკადი ყოველწლიურად იზრდება. თუ 3 წლის წინ მათი რაოდენობა იყო 15-20 ათასი ადამიანი დღეში, დღეისათვის ეს რიცხვი 25-30 ათასს უახლოვდება. შესაბამისად, საქალაქთაშორისო გადაადგილების ის საშუალება, რომელიც დღემდე გამოიყენება, ვეღარ ერევა არსებულ ნაკადს.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 2019 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი, თბილისი-რუსთავის მარშრუტზე M3 კატეგორიის ევრო 6 ემისიის სტანდარტის, ან ელექტროძრავზე მომუშავე ტრანსპორტით მგზავრთა გადამყვანი კომპანიის გამოსავლენად. კონკურსი 2 ნოემბერს დასრულდება. რუსთავისთვის კარგი პერსპექტივაა თბილისი რუსთავი დამაკავშირებელი მეტროს ხაზის შექმნის იდეა, რომლის თაობაზე კვლევის ჩასატარებლად თბილისი მერიას უკვე გამოცხადებული აქვს ტენდერი.

რუსთავის მერიამ და რუსთავის ინოვაციების ჰაბმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიწყო პლასტმასის ნარჩენების შეგროვება-გადამუშავების საპილოტე პროექტი. ინიციატივა ხელს შეუწყობს მოსწავლეებისა და მშობლების წახალისებას ნარჩენების შეგროვების კუთხით. ამის შემდეგ, მოხდება ნარჩენების ტრანსპორტირება გადამამუშავებელ ქარხნამდე და ბოლოს, პროდუქციის წარმოება. სეპარირებული ნარჩენების სასწავლო დაწესებულებებიდან გატანას კომპანია „სანიტარი“ უზრუნველყოფს.

6. ჯანდაცვის პროგრამები


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ჯანდაცვის 5 პროგრამას:

1. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა;
2. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა;
3. აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;
4. C ჰეპატიტით დაავადებულ მოქალაქეთა სამედიცინო კვლევის დაფინანსება;
5. დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების პროგრამა.

აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია **1 198 000 ლარი**

იმავე დანიშნულებით 2018 წელს გაიხარჯა **920 201 ლარი**

ჯანაცვის პროგრამების ბიუჯეტი



7. სოციალური დაცვის პროგრამები


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს 22 სოციალურ პროგრამას:

1. მინიმალური სასურსათო პროგრამა;
2. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
4. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
5. ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
6. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
8. სადღესასწაულო სოციალური ღონისძიებების პროგრამა;
9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა;
10. ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა;
11. მინდობითი ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა;
12. რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა;
13. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
14. 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოს თვეში, შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის პროგრამა;
15. ქალაქ რუსთავში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის პროგრამა;
16. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების პროგრამა;
17. ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;


18. უზუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამა;
19. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა;
20. სტუდენტური სამგზავრო მატერიალური წახალისების პროგრამა;
21. ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა;
22. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა;

აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2019 წელს გამოყოფილია **2 201 811** ლარი

იმავე დანიშნულებით 2018 წელს გაიხარჯა **1 774 927** ლარი



8. ურბანული დაგეგმარება და არქიტექტურა




9. ქონების მართვა

2018 წლის ნოემბრიდან, 2019 წლის პირველი 3 კვარტალის ჩათვლით, სულ გამოცხადებული იყო 2 ელექტრონული აუქციონი, რომლის შედეგადაც, გასხვისდა 3 ერთეული უძრავი ქონება და ამ ქონებების გაყიდვის შედეგად, თვითმმართველობის ბიუჯეტში შემოსულმა თანხის ოდენობამ შეადგინა: 106 717,5 ლარი. 2019 წლის მეორე ელექტრონულ აუქციონზე სარგებლობის უფლებით განიკარგა 2 უძრავი ქონება და გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის ყოველწლიურად გადასახდელი სარგებლობის საფასურის ოდენობა შეადგენს 14 889 ლარს.

ამასთან, მიმდინარეობს საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების პროცედურები. აღნიშნულ გეგმის პროექტში, განსაზღვრულია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, 12 ერთეული მიწის ნაკვეთი, რომელთა გასხვისების შემთხვევაში, აუქციონის გზით განკარგული ქონებიდან მიღებული მინიმალური შემოსავალი იქნება 952 875 ლარი.

10. ეკონომიკა

2018 წლიდან დღემდე ქალაქში ინვესტიციების მოცულობამ **73** მილიონ ლარს გადააჭარბა. ინვესტიციების დიდი წილი მიმართულია საწარმოო და სამშენებლო ბიზნესში.



მიმდინარე ინვესტიციებიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიციებია:

- შპს. „რუსთავილი“ ბიტუმის წარმოება, საწარმოს პირველი ეტაპი უკვე დასრუებულია, ინვესტიციის მოცულობა შეადგენს - 9 000 000 ლარი.
- ს.ს. „რუსთავის აზოტი“ – 16 000 000 ლარი (კონდენსაციური ელექტრო სადგურის განთავსება)
- ს.ს. რუსთავის N2 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის მე-4 სართულზე გაიხსნა სტაციონარი „ჰიგია“ ინვესტიცია 2 000 000 ლარი.
- შპს. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი რუსთავი- 4 000 000 ლარი
- სავაჭრო ცენტრი მადაგონი - 3 000 000 ლარი, სპორტ დარბაზი და გასართობი ცენტრი (დასაქმებულია- 30 ადამიანი)
- შპს. "სოლო" - 2 000 000 ლარი, (დასაქმებულია - 30 ადამიანი)

- არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი,“ - 1 000 000 ლარი, (დასაქმებულია 13 ადამიანი)
- შპს „რუსთავი 2015“ – 4 000 000 ლარი (დასაქმდა - 150 ადამიანი)
- შპს „ჯი ბი ჯი“ – 4 000 000 ლარი (დასაქმებულია - 60 ადამიანი)
- შპს „ბილდინგ რუსთავი“ - 4 000 000 ლარი (დასაქმებულია - 90-მდე ადამიანი)
- შპს. "თეთრი ქუდი" - 2 000 000 ლარი, (დასაქმებულია 110 ადამიანი დასრულების შემდგომ დასაქმდება - 200 ადამიანი)
- ასევე მიმდინარე ინვესტიციაა შპს. „ გლობა ენთერფრაიზი“ მარილის საწარმო- 2 000 000 ლარი.

დასაქმება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია რუსთაველების დასაქმება. დღეის მდგომარეობით, ჩვენი შუამდგომლობით, კერძო სექტორში დასაქმდა 144 ადამიანი, 150 მოქალაქეს ჩაუტარდა ტრენინგი.

11. კულტურა

რუსთავის მუზეუმის ფონდსაცავი მოწყობილია ნულოვან სართულზე, უკავია 500 კვ.მ ფართობი, ინახება 35 800 ერთეულზე მეტი ექსპონატი.

2018 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ფონდების კურატორებმა მიიღეს, აღრიცხვაზე აიყვანეს და არქეოლოგიურ განყოფილების ფონდებში განათავსეს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ რუსთავის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური საკვლევ-სადიებო სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალები, სულ 762 ერთეული ექსპონატი

მუზეუმის ფონდებში შემოვიდა ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის - მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი შემთხვევითი და თანამედროვე ყოფის ამსახველი დოკუმენტური მასალები: გამოფენების აფიშები, პლაკატები, ფოტოები, საჩუქრები და სხვ. სულ 34 ერთეული;


2019 წელს მუზეუმში შემოვიდა, აღრიცხვაზე ავიდა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბოსტანქალაქისა და გოგებაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა, სულ 34 არტეფაქტი. ამათგან: 4 რკინის, 26 ბრინჯაოს, 3 თიხისა და 3 ქვისაა დამზადებული.

იწყება რუსთავის ისტორიული ციხის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. რეაბილიტაცია-რესტავრაცია ციხის ჩრდილოეთ ზღუდეს ჩაუტარდება.

ქალაქის კულტურული განვითარებისათვის აუცილებელია ახალგაზრდა თაობას მიეცეს შესაბამისი განათლება. ქალაქის ხელმძღვანელობა ცდილობს გაამრავალფეროვნოს ქალაქში არსებული სახელოვნებო სასწავლებლების პროგრამა, ხელი შეუწყოს პედაგოგებს და მოსწავლეებს შემდგომი განვითარებისა და სწავლისთვის.

იზრდება სახელოვნებო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა

მოსწავლეთა რაოდენობა სახელოვნებო სასწავლებლებში



სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში გაიმართა 40 ზე მეტი ღონისძიება.


2019-2020 სასწავლო წელს სამუსიკო სკოლებს დაემატა თანამედროვე მუსიკის განყოფილება, რაც აღსაზრდელებს შესაძლებლობას მისცემს, ფოლკლორულ და კლასიკურ მუსიკასთან ერთად, გაეცნონ თანამედროვე მუსიკის ტენდენციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუსიკო სკოლებისთვის მოხდა შესაბამისი გახმავანების აპარატურის და ინსტრუმენტების შეძენა, რისთვისაც ჯამში გამოიყო - 25000 ლარი

რეაბილიტირდა სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზი, რამაც გამოფენების მკვეთრი ზრდა გამოიწვია, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ 2018 წელს აღნიშნულ პერიმეტრზე მოეწყო 4 გამოფენა, 2019 წელს აღნიშნულმა საგამოფენო სივრცემ, უკვე 20 ზე მეტ გამოფენას უმასპინძლა.

ცენტრის დაფინანსებით, სამუსიკო და სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა, მონაწილეობა მიიღეს 10 ზე მეტ კონკურსსა და ფესტივალში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ რისთვისაც ჯამში გამოიყო 20 000 ლარზე მეტი.


12. სკოლამდელი აღზრდა

ა(ა)იპ ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი 2019 წელს განისაზღვრა **6940300** ლარით, რაც **780000** ლარით მეტია 2018 წელთან შედარებით. მოიმატა აღსაზრდელთა კვებაზე დახარჯულმა თანხამ



2018 წელს რუსთავის ბაგა-ბაღებში ფუნქციონირებდა 173 სააღმზრდელო ჯგუფი, 2019 წელს კი, 178 ჯგუფი.

გაიზარდა აღსაზრდელების რაოდენობაც



ასევე გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც, თუ 2018 წელს მუშობდა 719 ადამიანი, 2019 წელს მუშაკთა რაოდენობამ 800-ს გადააჭრბა. ახალი თანამშრომლების მიღება მოხდა ღია კონკურსის წესით.

უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, ბაღების გაერთიანებამ, 2019 წელს რამდენიმე ფილიალში შეიძინა დიდი წარმადობის ელექტროქურები სამზარეულოებისათვის, სისტემატურად იცვლება ელექტრო ტექნიკაც.

განახლდა და გამრავალფეროვნდა ბაღების ინვენტარი, ჭურჭელი და სათამაშოები. საერთო ჯამში 2019 წელს ამ მიზნით **270 000** ლარი დაიხარჯა.

2019 წელს, პროფესიული განვითარების მიზნით, გადამზადდა ყველა ფილიალის გამგე.

2019 წელს საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობის ხარისხი მკვეთრად გაიზარდა. წელს ბაღს მიღმა დარჩენილთა რაოდენობა არის 700 ბავშვი, როცა გასულ წლებში ეს მაჩვენებელი იყო 1600 ბავშვი.

2019 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია " კვიტას გეორგიკას" მიერ 7 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, რუსთავში განხორციელდა ბაღების მონიტორინგი და ქოუჩინგი, რუსთავმა ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა აჩვენა. კერძოს #31 ფილიალი მოხვდა ფილმში „საუკეთესო პრაქტიკები რეგიონებიდან“.

13. ახალგაზრდობა

2019 წელს გაიზარდა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება და შეადგინა 170 000 ლარი, რაც 100 000 ლარით მეტია შარშანდელთან შედარებით

დაფინანსდა პროექტი გაიცანი შენი რეგიონი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 275 ახალგაზრდამ.

მოეწყო 20 მდე ტრენინგი.

შეიქმნა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო.


ახალგაზრდობის მონაწილეობის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქალაქის მერის ინიციატივით შექმნილი ახალგაზრდული ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამა, რომლის საშუალებითაც, რუსთავის მერიას შეუძლია თანადაფინანსება გაუწიოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციას, ან ახალგაზრდების ჯგუფს, თუ მათ მოპოვებული აქვთ საერთაშორისო დაფინანსება რუსთავში ახალგაზრდული პროექტის, ან ღონისძიების დასაფინანსებლად. მიმდინარე წელს დაფინანსდა სამი პროექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა ფონდ ორბელიანთან, რომლის შედეგადაც ქალაქში 27 ახალგაზრდული პროექტი განხორციელდა. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა თანამშრომლობა საგანმანათლებლო ინიციატივების ქართულ ასოციაციასთან და რუსთავში მოეწყო CISV საერთაშორისო სოფელი, რომელშიც 7 ქვეყნის წარმომადგენელი ბავშვები იღებდნენ მნაწილეობას.

14. სპორტი

ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის გასაძლიერებლად ქალაქში ფინანსდება 70-ზე მეტი ახალგაზრდული წრე

84 000 ლარით ფინანსდებიან წარმატებული სპორტსმენები.

92 000 ლარიდან 164 000 ლარამდე გაიზარდა სპორტსმენი - მოსწავლეების სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება.




2020 წლის ბიუჯეტში იგეგმება სპორტული შეკრებების თანადაფინანსება, რისთვისაც, სავარაუდოდ დამატებით **150 000** ლარი გამოიყოფა.

2019 წელს პროგრამის ფარგლებში, მოეწყო **50**-ზე მეტი სპორტული ღონისძიება ინდივიდუალური, გუნდური და საწყლოსნო სპორტის სახეობების მიმართულებით, მოცემული მაჩვენებელი **2018** წელთან შედარებით, გაზრდილია **10** ერთეულით.

საზოგადოების ინტერესების შესწავლის, მოქალაქეებთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, ცვლილება განიცადა ცენტრის ზოგიერთი პროგრამის შინაარსმა და მომავალი წლიდან, სპორტთან ერთად აქცენტი გაკეთდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე, ასევე ახალგაზრდობის კუთხით დიდი ყურადღება დაეთმობა არაფორმალურ განათლებას და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.


მნიშვნელოვანი იქნება ცენტრის ინიციატივები საჯაროობის და საზოგადოებასთან პასუხისმგებლობის კუთხით, რაც პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე მოქალაქეების ჩართვას გულისხმობს.

15. საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება (რუსთავის კორპუსი, რუსთავსერვისცენტრი)



გასული წლიდან ამოქმედდა „ინიციატივების პროგრამა“, რომელიც მოსახლეობასთან თანადაფინანსების განსხვავებულ პრინციპზეა დამყარებული, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „რუსთავის კორპუსი,“ ამხანაგობის მოთხოვნის შესაბამისად, ყიდულობს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალას, მოსახლეობა, კი სამუშაოს შესრულებაზეა პასუხისმგებელი.

„ინიციატივების პროგრამის“ ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით გახარჯული რესურსები




2019 წელს „რუსთავის კორპუსმა“ საბავშვო მოედნების რეაბილიტაციის 58 პროექტი შეიძინა, რომელთა საპროექტო ღირებულება **406 317,93** ლარს შეადგენს.

2019 წელს 31 საბავშვო მოედანს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. სამუშაოების სრული ღირებულება შეადგენს **250 000** ლარს.

ქალაქის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს **რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობას**, სადაც ჩატარდა არსებული შადრევნების გაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია, სისტემატიურად იწმინდება პარკში არსებული ხელოვნური ტბა, ხე-მცენარეები იწამლება ინსექტიციდის სულფატი. პარკში მუშაობს დაცვისა და სამაშველო სამსახური, რომელიც მეთვალყურეობას უწევს პარკის ტერიტორიაზე დასასველებლად ჩასული ადამიანების უსაფრთხოებას. დაცვის სამსახური უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკით და შესაბამისი უნიფორმით. ამ ეტაპზე პარკში დამონტაჟებულია 8 ცალი ვიდეო კამერა. მომავალ წელს იგეგმება კიდევ 17 კამერის მონტაჟი

ქალაქში მუდმივად ხდება **გარე განათების სისტემის** რეაბილიტაცია და მისი აღჭურვა თანამედროვე ენერგო ეფექტური ნათურებით. 2019 წელს შეიცვალა 2200 სანათი. აღნიშნული სანათების გამოყენება ერთის მხრივ დადებითად მოქმედებს ეკოლოგიაზე, მეორეს მხრივ კი ამცირებს გარე განათების ხარჯებს ქალაქისთვის.



უკვე ჩატარებული სამუშაოებით ხდება ყოველწლიურად **35 479.79** ლარის ეკონომია.

2020 წლიდან იგეგმება 3000 ახალი LED სანათის დაყენება. მხოლოდ ეს ცვლილება მოუტანს ქალაქის ბიუჯეტს **132 440** ლარის ეკონომიას ყოველწლიურად.

ქალაქის ქუჩებში უსაფრთხო გადაადგილების მიზნით რამდენიმე ქუჩაზე დამონტაჟდა სხვადასხვა სახის 65 საგზაო ნიშანი.

მოეწყო საგზაო 82 ე.წ. „უკონტაქტო პატრულირების სივრცე“

დაიხაზა ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და პარკირების ზონები შემდეგ 14 სხვადასხვა ლოკაციებზე:

ქალაქის მასშტაბით დამონტაჟდა 100 საბაღე დასასვენებელი ახალი სკამი. მოხდა არსებული სკამების განახლება რესტავრაციაც.

16. მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა

რუსთავში არსებულ წმინდა აკაკის მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლს შეუძლია მიიღოს 50 ბენეფიციარი.

ცენტრის ბენეფიციარებს ემსახურება - 35 ადამიანი

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე ბენეფიციართა მომსახურებაზე დახარჯულია **373828,70** ლარი.

ასევე რუსთავში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობათა მქონე პირთა ცენტრი რომლის პროგრამებითაც სარგებლოს **150** ბენეფიციარი და **60** სკოლამდელი აღსაზრდელი.

ქალაქ რუსთავის მერის მხარდაჭერით ცენტრის შვიდმა თანამშრომელმა გაიარა გადამზადების კურსი (რომლის ღირებულებაც შეადგენს 11 000 ლარს და დაფინანსდა მერიის მიერ) და მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს ცენტრი ჩაერთვება ადრეული ინტერვენციის პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის სამინისტროდან მომსახურების ვაუჩერების მიღებას.

ქალაქ რუსთავის მერის მხარდაჭერით "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" 5 თანამშრომელმა გაიარა გადამზადების კურსი(რომლის ღირებულებაც შეადგენს 7 000 ლარს და დაფინანსდა მერიის მიერ) და 2019 წლის აპრილიდან დაიწყო ქცევის გამოყენებითი ანალიზის (ABA თერაპიის) პროგრამის განხორციელება აუტიზმის, აუტისტური სპექტრისა და სხვა ქცევითი დარღვევების მქონე 2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ბენეფიციარებთან მუშაობენ შესაბამისი სპეციალისტები: ქცევის (ABA) თერაპევტი და მეტყველების თერაპევტი. პროგრამას თეორიულ და პრაქტიკულ მხარდაჭერას უწევს "ორგანიზაცია საქართველოს ბავშვები".

ცენტრი მომსახურებას უწევს 0-დან 33 წლამდე შემდეგი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებს:

- გონებრივი ჩამორჩენა
- ბავშვთა ცერებრალური დამბლა (ბ.ც.დ)
- დაუნის სინდრომი
- აუტიზმი
- განვითარების ეტაპების დაყოვნება

ცენტრში მოქმედებს 15 სხვადასხვა პროგრამა და თერაპია.

2019 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ABA თერაპიის მომსახურებით სარგებლოს 27 ბენეფიციარი.

რამდენიმე წელია რუსთავში მტკივნეულად დგას უსახლკარო ადამიანების პრობლემა. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად 2019 წელს ქალაქში აშენდა 52 ოჯახზე გათვლილი სოციალური საცხოვრისი. საცხოვრისის მშენებლობა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 800 097 ლარი შეადგინა. საცხოვრისში უკვე შესახლდა 52 უსახლკარო ოჯახი

17. მოქალაქეთა ჩართულობა

ქალაქის ხელმძღვანელობისთვის უმნიშვნელოვანესია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მიმდინარე პროცესებში. რუსთავი სამართლიანად ითვლება ერთ ერთი ყველაზე მაღალი ჩართულობის მაჩვენებლის მქონე ქალაქად.

რუსთავში უკვე 2 წელია ფუნქციონირებს ახლად არჩეული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც ითვლება საქართველოში ყველაზე უფრო ეფექტურ და მდგრად საბჭოდ. მიმდინარე წელს საბჭომ ჩაატარა ათამდე სხდომა, შეიმუშავა განვითარების 2 წლიანი სტრატეგია. ასევე საბჭომ მიიღო მონაწილეობა ფონდ ორბელიანის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მიიღო დაფინანსება ქალაქის სხვადასხვა უბნებში სამისამართე აბრების განსათავსებლად.

20. ინოვაციები

ადგილობრივი თვითმმართველობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქში სხვადასხვა ინოვაციების დამკვიდრებას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 2018 წელს, მერიაში შეიქმნა ინოვაციების ჰაბი, რომელიც მიმდინარე წლის მაისში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციად და უკვე მოიპოვა დაფინანსება გაეროს განვითარების პროგრამიდან (UNDP) პროექტის „მდგრადი ქალაქები ადამიანებისთვის“ განსახორციელებლად. პროექტი მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორცაა: გარემოზე ზრუნვა, განათლება, ახალი ეკონომიკური აქტივობები, თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორს შორის და ა.შ.

რუსთავის მერია თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაცია Effect AI-თან, რომელიც გეგმავს უახლოეს მომავალში ქალაქში გახსნას საკუთარი ოფისი, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ დაეუფლონ და იმუშაონ თანამედროვე ქსელურ სისტემებზე, ბლოკჩეინზე და ხელოვნურ ინტელექტის განვითარებაზე. ამ ეტაპზე ქალაქის მერიამ უკვე გამოუყო ორგანიზაციას ფართი სადაც მოხდება ოფისის განთავსება.

2018-2019 წლების კვარტალური ფინანსური ანგარიში

ბიუჯეტში და ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებული ცვლილებები

საკრებულოს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ცვლილებამ 2018 წლის განმავლობაში 10 ერთეული შეადგინა, ხოლო 2019 წლის მონაცემებით 13 ერთეული.


საკრებულოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებმა 2018 წლის განმავლობაში - 12 ერთეული შეადგინა, ხოლო 2019 წელს არ ყოფილა.

მერის ბრძანებით განხორციელებული საბიუჯეტო (5%-იანი) ცვლილება 2018 წლის განმავლობაში 7 ერთეული შეადგინა, ხოლო 2019 წლის მონაცემებით შეადგინა 1 ერთეული.

მერის ბრძანებით განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები 2018 წლის განმავლობაში 35 ერთეული შეადგინა, ხოლო 2019 წლის მონაცემებით შეადგინა 126 ერთეული.


წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განხორციელებული ცვლილებები

□ 2018 წელი □ 2019 წელი



მერის მიერ განხორციელებული ცვლილებები

□ 2018 წელი □ 2019 წელი



შემოსულობების შესრულება


საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურმა მაჩვენებელმა 2018 წლის მონაცემებით 10 506 000 ლარია, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 24 848 000 ლარს შეადგენს, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 2 569 000 ლარი, ხოლო 2019 წელს ჩანაცვლდა დამატებითი ღირებულების გადასახადით, რომელმაც შეადგინა 16 531 000 ლარი; ქონების გადასახადიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 7 673 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 8 011 000 ლარი; მიწის გადასახადიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 233 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 237 000 ლარი; სხვა გადასახადებიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 32 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 68 000 ლარი.

გრანტების შემოსავლებიდან ფაქტიურმა მაჩვენებელმა 2018 წლის მონაცემებით 13 743 000 ლარია, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 6 858 000 ლარს შეადგენს.


სხვა შემოსავლებიდან ფაქტიურმა მაჩვენებელმა 2018 წლის მონაცემებით 4 221 000 ლარია, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 5 934 000 ლარს შეადგენს, მათ შორის: იჯარებიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 72 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 80 000 ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 1 535 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 1 092 000 ლარი; დასუფთავების მოსაკრებლიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 640 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 607 000 ლარი; ჯარიმებიდან 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 1 299 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 2 056 000 ლარი; სხვა დანარჩენი შემოსავლებიდან 2018 წლის

მონაცემებით დაფიქსირდა 675 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 2 099 000 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან ფაქტიურმა მაჩვენებელმა 2018 წლის მონაცემებით 629 000. ლარია, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 331 000 ლარს შეადგენს.


შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებლების შედარება (ათ. ლარი)



გადასახადების ფაქტიური მაჩვენებლების შედარება (ათ. ლარი)




სხვა შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებლების შედარება (ათ. ლარი)



გადასახდელების შესრულება:

გადასახდელების ფაქტიური მაჩვენებელი 2018 წლის მონაცემებით, 27 057 000. ლარია, ხოლო 2019 წელს, ეს მაჩვენებელი 35 487 000 ლარს შეადგენს. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 684 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 9 898 000 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 218 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 7 916 000 ლარი; პროცენტის მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 236 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 118 000 ლარი; სუბსიდიების მუხლიდან, 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 13 026 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 1 517 000 ლარი; გრანტების მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 4 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 4 000 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 060 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 2 396 000 ლარი; სხვა ხარჯების მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 1 285 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 2 492 000 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 4 960 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 10 523 000 ლარი; ვალდებულებების კლების მუხლიდან 2018 წლის მონაცემებით დაიხარჯა 584 000 ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემით - 624 000 ლარი.



ფაქტიური მაჩვენებლები



ჩატარებული ტენდერების შესახებ:

ჩატარებული ტენდერებიდან 2018 წლის 9 თვის მდგომარეობით დაიდო 54 ხელშეკრულება, ხოლო 2019 წელს - 98 ხელშეკრულება; უარყოფითი შედეგით დასრულდა 2018 წელს - 6 ტენდერი, 2019 წელს - 15 ტენდერი; შეწყდა 2018 წელს 1 ტენდერი, ხოლო 2019 წელს - 0 ტენდერი; არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა 2018 წელს შეადგენს 16 ერთეულს. ხოლო 2019 წელს - 20 ერთეულს.

შესყიდვების გეგმის ცვლილება განხორციელდა 2018 წელს - 33 ცვლილება, ხოლო 2019 წელს - 48 ცვლილება.





შესყიდვის საშუალებების შედარება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2018 წელს გაფორმებულ იქნა - 600 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება (მათ შორი გამარტივებული შესყიდვა - 130 000 ლარი, გადაუდებელი აუცილებლობით - 201 000 ლარი და ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 269 000 ლარი), ხოლო 2019 წელს - 828 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება (მათ შორი გამარტივებული შესყიდვით - 114 000 ლარი, გადაუდებელი აუცილებლობით - 439 000 ლარი და ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 274 000 ლარი)

2018 წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა - 12 142 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო 2019 წელს - 18 647 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

2018 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა - 395 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო 2019 წელს - 577 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.




ვალდებულებები საერთო მოცულობის შესახებ

მიმდინარე ვალდებულებების საერთო მოცულობა შეადგენს 6 პროექტს 2018 წლის 1 ოქტომბრამდე გადახდილია 7 973 000 ლარი, დარჩენილია 3 723 000 ლარი.


პროექტის დასახელება	01.10.2019 წლამდე გადახდილი თანხა	01.10.2019 წლიდან გადასახდელი (ნაშთი)		
		2019 წ	2020 წ	2021-2026 წწ
ქ.მარტავას გამზირის რეაბილიტაცია (2010წ)	957 227	-	-	-
ფალიაშვილის და თბილისის ქუჩების რეაბილიტაცია (2011წ)	960 436	26 169	26 180	-
შიდა ქუჩების (სანაპიროს, ბარათაშვილის, სუმგაით-მეტალურგთა, დონეცკ-მეტალურგთა, 9 მაისის,სარაჯიშვილის, არაყიშვილის ქუჩები) რეაბილიტაცია (2011წ)	2 201 116	-	-	-
ქუჩების რეაბილიტაცია (დუმბაძის ქ (კოსტავას ქ-დან ბალანჩივაძის ქ-მდე), მეგობრობის #2 დან ცენტრალურ ხიდამდე (ცურტაველის მოედნის ჩათვლით და თაგორაშვილის ქ.მონაკვეთის)) (2011წ)	3 292 132	92 028	184 059	-
თბილისის ქუჩის მონაკვეთის და ცურტაველის რეაბილიტაცია (2012 წ)	1 450 707	47 523	190 092	142 573
საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით ქონების (კომპაქტორერიანი თვითმცლელი ნაგავმზიდები და ნარჩენების კონტეინერები) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხი (ხელშ 13/03/2017წ) 10 წლიანი - 2026 წლამდე	131 102	68 099	136 198	817 191
ჯამი	8 992 720	233 819	536 529	959 764

მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული სახსრების შესახებ

ყველა იურიდიული პირის ჯამური ხარჯები




საკუთარი სახსრები ა(ა)იპ-ების მიხედვით



➤ ა (ა)იპ ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივი

2018 წლის 9 თვის გეგმა - 70 950 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 64 747 ლარი (92%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 75 078 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 68 263 ლარი (91%)



➤ ა (ა)იპ ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტო

2018 წლის 9 თვის გეგმა - 37 500 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 35 100 ლარი (94%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 37 400 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 37 212 ლარი (99%)



➤ ა (ა)იპ რუსთავის კორპუსი

2018 წლის 9 თვის გეგმა - 1 350 400 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 936 413 ლარი (69%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 1 657 279 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 1 437 616 ლარი (87%)



➤ **ა (ა)იპ რუსთავსერვის ცენტრი**

2018 წლის 9 თვის გეგმა - 4 143 885 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 3 716 673 ლარი (89%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 5 438 118 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 4 967 292 ლარი (91%)



➤ **შპს რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო**

2018 წლის 9 თვის გეგმა - 528 015 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 511 282 ლარი (96%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 680 450 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 680 450 ლარი (100%)



➤ ა(ა)იპ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება

2018 წლის 9 თვის გეგმა - 4 207 038 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 4 182 230 ლარი (99%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 4 672 238 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 4 652 931 ლარი (100%)



➤ ა(ა)იპ შშმ პირთა ცენტრი

2018 წლის 9 თვის გეგმა - 295 455 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 250 942 ლარი (85%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 327 104 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 310 966 ლარი (95%)



➤ ა(ა)იპ ქ. რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი

2018 წლის 9 თვის გეგმა - 2 424 803 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 2 164 252 ლარი (89%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 2 584 498 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 2 437 149 ლარი (94%)



➤ ა(ა)იპ რაგბის კლუბი რუსთავის ხარები

2018 წლის 9 თვის გეგმა - 210 000 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 210 000 ლარი (100%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 258 622 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 258 616 ლარი (100%)



➤ შპს საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991

2018 წლის 9 თვის გეგმა - 566 850 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 494 649 ლარი (87%)


2019 წლის 9 თვის გეგმა - 536 651 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 533 846 ლარი (99%)



➤ ა(ა)იპ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი


2018 წლის 9 თვის გეგმა - 571 450 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 538 229 ლარი (94%)

2019 წლის 9 თვის გეგმა - 623 021 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 617 837 ლარი (99%)




ა(ა)იპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება

2018 წლის 9 თვის გეგმა - 232 110 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 228 888 ლარი (99%)
 2019 წლის 9 თვის გეგმა - 257 371 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 253 387 ლარი (98%)




➤ ა(ა)იპ რუსთავის ისტორიული მუზეუმი

2018 წლის 9 თვის გეგმა - 132 750 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 124 042 ლარი (89%)
 2019 წლის 9 თვის გეგმა - 209 300 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 202 786 ლარი (97%)



- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
 2018 წლის 9 თვის გეგმა - 184 405 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 176 047 ლარი (95%)
 2019 წლის 9 თვის გეგმა - 224 663 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 216 803 ლარი (97%)



- ა(ა)იპ მუხუცებულთა სახლი
 2018 წლის 9 თვის გეგმა - 288 390 ლარი, 2018 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 269 975 ლარი (94%).
 2019 წლის 9 თვის გეგმა - 313 803 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება - 295 518 ლარი (94%).

